

საქართველოს ეროვნული დემოკრატიული პარტია

რედაქცია (ლთა 9-2 და 5-7).

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფინხაძის სახლი. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა (ლთა 9-2 და 5-7).

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ხმავლოვარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა .

ქუთაისის ქალაქის გამგეობა მოუწოდებს ვაჭრებსა, მრეწველებს და თავისუფალ პროფესიის მოქალაქეებს გამოცხადდნ გამგეობის დარბაზში თავიანთ წრიდან წარმომადგენლების ასარჩევად, რომელთაც დაევალება ქალაქის საბჭოს მიერ მიღებული სანიტარული გადასახადის გადამხდელე-ბზედ გაწერა (იხ. საქ. ქალ. და მახრ. ერობ. სსს. ერთდრ. სანიტ. გა-დას. შემ. დეკრეტის მე 2 მუხლი) გაწერა უნდა მოხდეს ქვემო აღნიშ-ნულ რიცხვიდან ორა კვირის განმავლობაში. უკეთუ რომელიმე დარგი უარს განაცხადებს გადასახადის განაწილებაზე, ან მათ მიერ განაწილების ნორმებს ქალაქის გამგეობა არ დაეთანხმება, მაშინ თვით გამგეობა გა-ანაწილებს თავის მოსაზრებით გადასახადს, რომელიც გადამხდელებს უდაოთ გადახდება.

3 დეკემბერს, დღით ოთხშაბათს, 12 საათზე

1) ბაბბის თამბაკოს, კანფეტის, კვასის, ხილეული წყალის, ყინუ-ლის, კირის, ტყავის, მანქანების თასმების საქსოვი და სახერხი ქარხნე-ბის პატრონები. 2) ყასპები. 3) მეჩეკმეები.

3. დეკემბერს, დღით ოთხშაბათს, 2 საათზე.

1) ხარაზები 2) ნავთის და მახუთის საწყობები, ნავთით და მახუ-თით სავაჭროები, 3) ოპტიკის მაღაზიები, ოქროულობის მაღაზიები, საათის სახელოსნოები, 4) სამრეცხაოები და ტანისამოსის მწმენდავები 5) სამღებროები.

4 დეკემბერს, დღით ხუთშაბათს, 12 საათზე

1) მეხილეები და მეყვავილეები. 2) ხე-ტყის მასალის საწყობები, 3) შეშის საწყობები, 4) სტამბები და ლიტოგრაფიები: 5) ფოტოგრაფები.

4 დეკემბერს, დღით ხუთშაბათს 2, საათზე.

1) ქურჭლეულობით და ავეჯეულობით მოვაჭრენი: 2) საბაკალინო სავაჭროები. 3) ძველებით მოვაჭრენი. 4) მეთუნეუქეები 5) წისკვილის პატრონები. 6) მოწყობილი ოთახების და სასტუმრეების პატრონები.

5 დეკემბერს, დღით პარასკევს, 12 საათზე.

1) ნოტარიუსები. 2) ვეკილები, ვეკილის თანაშემწენი და კერძო ვეკილები. 3) ექიმები, ექიმის თანაშემწენი, ბებია ქალები და კბილის ექიმები, 4) ბანკები, 5) დამზღვევი საზოგადოებები.

ქალაქის გამგეობა.

საჯარო ვაჭრობა.

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ქუთაისის რკინის გზის სადგურიდან გადმოსაზიდავია ხონი-ქუთაისის რკინის გზის სხვა და სხვა საქირო მასალა—რელსები, რომელიც გადმოზიდულ უნდა იქნეს ქუთაისის სადგურიდან თეთრ ხიდესთან და თეთრი ხიდიდან ქუ-თაისი-ხონის სადგურზე (ოლასკურაზე); ამისათვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქუთაისის სამაზრო ერობის კანცელარიაში პარასკევს, ამა დე-კემბრის 5, შუადღის პირველ საათზე. პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე 9—3 საათამდე გამგეობის წევრ მ. გავაშელთან.

განცხადება იჯარის აღების შესახებ უნდა იქნას შემოტანილი პარასკევს 5 ამა დეკემბერს შუადღის პირველ საათამდე სამაზრო ერობის კანცე-ლარიაში საკანტროლო კომისიის მდივან მ. ბოკერიასთან.

(3-1). ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა.

ეროვნულ-დემოკ. პარტიის წევრების საშურ' დღეოდ.

კვრას 7 დეკემბერს დილის 10 საათზე, თანახმად საგუბერნიო კო მიტეტის დადგენილებისა, დანიშნულია

პ რ ე ბ ა

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის წევრებისა. კრება გა-ნიხილავს სხვა და სხვა ფრიად საყურადღებო საკითხებს, და დასა-სრულ მოხდება საქალაქო კომიტეტის არჩევა, რომელიც იქნება აგ-რეთვე, სამაზრო კომიტეტიც. ნაცვლად საგუბერნიო კომიტეტისა კრების ადგილი ცალკე იქნება გ მოცხადებული.

ქ. ქუთაისში

საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავში-რის მიერ, პირველ დეკემბრიდან გაიხსნა საბუხგალტერო ერთ წლიანი

საღამოს კურსები.

კურსების სამოსწავლო ნაწილის გამგ.თ მოწვეულია ქუთაისის აზოვო-დონის ბანკის მმართველი ბ. ი. ი. პურადაშვილი, ლექტორებათ მოწვე-ული არიან უმაღლეს სწავლით აღჭურვილი სპეციალისტები, მსმენე-ლებათ ჩაწერა და კურსების შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება აზოვო-დონის ბანკში, კურსების კანცელარიაში.

(3-1).

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა .

საქიროა მონაგარიშე. ტყავის მრეწველთა ამხანაგობა „ქუთაისი“ საქი-როებს ქართულათ მკოდნე მონაგარიშეს (ბუხგალტერს). მსურველთ მო-სალაპარაკებლათ შეუძლიათ მობრძანდნ ქუთაისში ვაზეთების გამყიდველ მაღაზიის გვერდით—ამხანაგობის მაღაზიაში. ამასთანავე ეს ამხანაგობა აცხადებს; თანახმად მათი ამხანაგის კაშოიანის განცხადებისა და ამხანა-გებთა უმეტესობის სურვილისა ბ. პოლოს სოლომონის ძე კაშოიანის, გასულია ამ ტყავის მრეწველთა ამხანაგობისაგან, მათის წესდებისა—და დგენილების ძალით ამა წლის 29 ნოემბრიდან;

(2-1). ამხანაგობის თავმჯდომარე ვლადიმერ წერეთელი.

ორი მუქარა.

ამიერ-კავკასიის კომუნისტები ტე-რორით გვემუქრებიან (წაიკითხე 30 ნოემბრ. „ბორბაში“ წერილი: „უნდა იცოდნენ“).

საჯაროდ აცხადებენ: შურს ვიძიებთ, ჩვენს მოსისხარ მტრებს—მენშევიკებს—ჩვენი ამხანაგების სისხლს გადავახ-დევივებთ.

მაგრამ, ჯერ ერთი, ტერორი, სი სხლის გადახდევინება, შურის ძიება—ულონობას მოასწავებს.

და, მეორე, რომელი იდეისათვის აპირებენ კომუნისტები საქართველო-ში სისხლის მღვრელი სამოქალაქო ომის წარმოებას?

საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისათვის ხომ არაა?

რა დარჩენათ ჩვენს სამშობლოში? რას მოითხოვენ ჩვენგან?

კერძო საკუთრების სრულიად გა-

უქმებას, საშინელს შინაურ ბრძოლას, რომელიც ინგლის-საფრანგეთ-ამერი-კის ჩარევას გამოიწვევს, და ათასგვარ სხვა საბედისწერო ცდას?!

ხალხი მათ არ მისდევს, მხოლოდ ყაჩაღები აიყოლიეს და ორიოდე გზა დაბნეული ინტელიგენტი.

ფედერალისტები მთლად ჩამოშორ-დნ და „თედო ლლონტი“ ბრძოლის სისხლის წვიმებს აღარ ჰქადაგებს.

სოციალისტ რევოლიუციონერებიც პილატესებრ იჯმნენ მათგან.

მაშ ვის შეაშინებენ თავიანთი მუ-ქარით?!

უნდა იცოდნენ: პარტიას, რომე-ლიც იზრდება, მუქარა არა სჭირ-დება...

თავისი მხრით მენშევიკების გაზე-თი—„ბორბა“ აი რით ემუქრება მათ: „თვითოეული მენშევიკის თავს რამ-დენისამე დატუსაღებული ბოლშევი-კის თავი აგებს პასუხსო“.

